Remove Watermark Now



თავისუფლების 5 წუთი

pdfelement

Remove Watermark Now

სსსპ 172-ე საჯარო სკოლის VIIIა კლასი

იდეის ავტორი :

ნესტან კუბლაშვილი

მთავარი რედაქტორი

გულიკო ჯიღაური

თანარედაქტორი

ალექსანდრე ანანიაშვილი

სარედაქციო ჯგუფი

ელენე მჭედლიშვილი

ნინი მჭდლიძე

ანი მაისურაძე

მარიამ მითაგვარია
მარიამ ილურიძე

ტექნიკური რეჟისორი

ნინი მჭედლიძე

pdfelement

Remove Watermark Now

მთავარი რედაქტორის სვეტი



ალბათ, ერთხელ მაინც დავფიქრებულვართ, რომ სამყაროში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ყოველი ახალი, თუნდაც წვრილმანი რამის დასაწყისით, რაღაც მაინც იცვლება ჩვენს ცხოვრებაში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება ჩემსა და ჩემი თანაკლასელების ცხოვრებაში დღიურების წერის დაწყება იყო. სავარაუდოდ, გაინტერესებთ, როგორ დაიწყო ეს ისტორია? კი ბატონო, მოგახსენებთ.

2018 წლის ნოემბრის შუა რიცხვები გახლდათ, როდესაც ქართულის მასწავლებელმა ქ-ნმა ნესტან კუბლაშვილმა ახალი პროექტი გაგვაცნო და მასში მონაწილეობის მიღება შემოგვთავაზა. პროექტის მთავარი აზრი იყო ის, რომ დაგვეწერა თხზულება დაა აუცილებლად დღიურის ფორმატში, სადაც უნდა გვესაუბრა რაიმე ფორმით ძალადობაზე, ბულინგზე, მაგრამ მოძალადე საზოგადოებისაგან გარიყული კი არ დაგვეტოვა, არამედ დაგვენახებინა ხალხისთვის რაიმე გზა, რითაც მათ ფსიქოლოგიურად დავეხმარებოდით. სწორედ ეს იყო დღიურების წერის დაწყების საფუძველი. ამ პროექტში სამმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა:მე, ალექსანდრემ და ელენემ. ამის შემდეგ ქ-ნმა ნესტანმა შემოგვთავაზა, რომ თუ თანაკლასელებს გვსურდა, იგი თავისი გაკვეთილის პირველ 5 წუთს დაგვითმობდა რამდენიმე წუთით სამყაროსაგან გაცალკევების, საკუთარ თავთან დარჩენისა და ფიქრისთვის ანუ ჩვენი თავისუფლებისთვის

.ასეთი რამ ჩვენთვის უცხო იყო, მაგრამ ბავშვებმა ეს იდეა მალევე ავიტაცეთ და რამდენიმე დღეში უკვე კლასში ყველას ჩვენი დღიური გვქონდა. პირველი დღიური 20 ნოემბერს დავწერეთ. შემდეგ შევთანმხდით, რომ ყოველი ახალი თვის დასაწყისში ერთ გაკვეთილს დღიურების კითხვას დავუთმობდით და ჩვენი დღიურიდან ჩვენთვის სასურველ 1 დღეს წავიკითხავდით. დღიურებში ხშირად ვმსჯელობდით და განვიხილავდით რაიმე საკითხს, ვაფიქსირებდით ჩვენს აზრსა და დამოკიდებულებას, ბოლო 10 წუთი კი, თუ ჩვენი სურვილი იყო, ხმამაღლა ვკითხულობდით. პირადად, ჩემი აზრით, ამგვარი დღიურების დაწერა და გაკვეთილზე გამოყოფილი სულ რაღაც 5 წუთი თითოეულ მოსწავლეს დაგვეხმარა გრძნობების დაბალანსებაში, განტვირთვაში, ერთგვარი მინი ფსიქოლოგიური შესვენებაც იყო და რაც მთავარია, გაკვეთილის მსვლელობისას თითოეული მოსწავლე შედარებით მობილიზირებულნი გავხდით, რაც, ვფიქრობ, თავისთავად ნიშნავს, რომ გაკვეთილი უფრო ხარისხიანად ტარდებოდა. ბოლო პერიოდში დღიურების სკოლაში, გაკვეთილზე, წერა შევწყვიტეთ გარკვეული მიზეზების გამო, მაგრამ კლასის მოსწავლეების უმრავლესობას არ ავიწყდება, რომ დღიურები სახლში აქვთ და დღემდე აქტიურად აგრძელებენ მათ წერას, რაც ,პირადად მე ძალიან მახარებს! ჟურნალის დათვალიერებისას ამას თავად იხილავთ. თუმცა, ეს უბრალოდ დროის ამბავია, დარწმუნებული ვარ მოკლე ხანში ისევ განვაგრძობთ ამ ტრადიციას, რომელიც ჩვენ მოვიფიქრეთ. ამრიგად, დასკვნის სახით შემიძლია გითხრათ, რომ გაკვეთილზე გამოყოფილი თავისუფლების 5 წუთი და მოსწავლეებისთვის დღიურების წერის წესად შემოღება ყველა საჯარო თუ კერძო სკოლაში,დიდ შედეგს გამოიღებს არა მხოლოდ მოსწავლეების განტვირთვისთვის, არამედ მათი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვისაც.

გ.ჯიღაური

Watermark Removal

Remove Watermark Now

24/12/2018



გამარჯობა, დღიურო! მე მინდ ა გავიხსენო ჩემი ერთ-ერთი სპ ორტული შეჯიბრება, რომელი ც გორში ჩატარდა და საკმაოდ წარმატებით დავასრულე. მომ იწია ბევრ მეტოქესთან შერკინე ბა, რის გამოც ჩემი ცხოვრების ეს დღე საკმაოდ გრძელი აღმო ჩნდა. ბევრი ფიქრი და სისწრა ფეა საჭირო შედეგის მისაღწევ ად, რაც ძალიან რთულია, უამ რავი გარშემომყოფი და მაყურ ებელი, ზოგიც გულშემატკივარ ი, მშობლები, ტრენერი, თანაგ უნდელები , მეგობრები გიყურ ებენ, ცდილობენ შორიდან გამ ხნევებასა და დახმარებას , შენ კი არ გინდა გაუცრუო იმედი, ე ს ყველაფერი კი საბოლოო ჯამ ში ძალიან გაბნევს. მაგრამ ტა ტამზე გასულმა შევძელი და მ ოვახერხე კონცენტრაციის გაკე თება მეტოქესა და ილეთებზე , ვცდილობდი შემესწავლა მოწი ნააღმდეგის ტაქტიკა და გათვ ლები, თან მინდოდა საკმაოდ სწრაფად მემოქმედა, რაზეც დ იდი ხნის განმავლობაში ვვარ ჯიშობდი. ბოლოს ჩემმა დიდი ხნის ნაშრომმა გაამართლა და ეს შეჯიბრება იყო ჩემი ყველაზ ე წარმატებული მოგება, რამაც საქართველოს ჩემპიონის ტიტ ული მომანიჭა, დღემდე სიამა ყით მავსებს გორიდან წამოღე ბული თასისა და სიგელს დანა ხვა .

pdfelement

ნიკოლოზ მუხიაშვილი

Remove Watermark Now

25/01/2019

მე მინდა გავიხსენო ჩემი ერთი დღე თურქეთიდან. 2 კვ ირით იქ დასასვენებლად ვიყავით, ერთ დღეს სასწა ულმა ხმაურმა გამაღვიძა თურმე სამოქალაქო ომი და წყ ებულა, სასტუმროს ფანჯრიდან რომ გადავიხედე გაოც ებული დავრჩი, ქუჩები გამძვინვარებული ხალხ ით, სა მხედრო მანქანებითა და ტანკებით იყო გადაჭე დილი, ისმოდა ხმამაღალი შეძახილები. რაღაც უცნა ური გრძო ბა დამეუფლა, ის იყო ჩემს თვალწინ მომხ დარი ცოცხა ლი ისტორია, საინტერესო კი ის ფაქტი იყ ო, რომ ეს ვით არება თითქმის 5 დღეს გაგრძელდა ჩემ ი იქ ყოფნის პე რიოდში, დაძაბული ვითარება ყოველ ღამე გრძელდებ ოდა, ისმოდა გაუთავებელი სროლებ ის ხმა, დღისით კ ი სტამბულის ქუჩებში იდეალური სი ჩუმე იყო, მოსახლ ეობა ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრ უნდებოდა. ყველა ზე მეტად კი დამამახსოვრდა ის შე მზარავი ხმა რომელ მაც გამთენიისას გამაღვიძა, ეს ი ყო ტერორისტული აქ ტი რომელიც ჩვენ სასტუმროსთ ან ახლოს მოხდა. ამ ფ აქტმა ჩემ ცხოვრებაში წარუშლ ელი შთაბეჭდილებები დატოვა.

pdfelement

ნიკოლოზ მუხიაშვილი

Remove Watermark Now

22 მარტი 12:28

8 მარტს მცხეთაში ვიყავით ც ეკვიდან,კონცერტი გვქონდა.დ ი ლით,როგორც ყოველთვის ეკ ლ ესიასთან შევიკრიბეთ და მა მას მანქანიდან გადმოსული,მ აშინ ვე ბავშვებთან ავტობუსში გავიქ ეცი.ჩვენ ადგილებზე დავ სხედ ით და მალე დავიძარით მცხეთ ისაკენ.იქ ჩასულები საკო ნცერტ ო ფორმებით ხელში და რბაზში შევედით.ნია შემოდის და ხმამ აღლა ამბობს : ”ღადა ობთ? აქ უ ნდა გამოვიცვალოთ ?”,ყველამ გაიცინა და მგონი დ არჩენილი დღის განმავლობაშ ი სულ ამ ფ რაზას ვიმეორებდი თ.

pdfelement

რეპეტიციის შემდეგ ჩვეულ რიტმს შევუდექით-პარიკი, ფორმა,მაკიაჟი,ნუ მოკლედ, ტიპიური საკონცერტო სამზა დისი.უკვე მზად რომ ვიყავი თ,ჩვენი რიგის დადგომას ვ ელოდებოდით და დრო აქე თ-იქით სიარულით გაგვყავ და .ვინაიდან 8 მარტი იყო, გიორგის მამამ ყველა გოგო ს ყვავილები გვაჩუქა..ლექს ო მასწთან ერთად ნაცეკვი ა ჭარული უმაგრესიიი იყოო!კ ონცერტის მერე ტყეში წავე დით.

კაცებმა მწვადების შეწვა და იწყეს,დედებმა სუფრა გაშა ლეს.ჭამას რო მორვჩით თამ აში დავიწყეთ.ორ გუნდად გავიყავით და აი ცეცხლი აი ნთო,თამაში დაიწყოოო.ორ დროშობანას ვთამაშობდი თ.ამის შემდეგ ქურდი პოლ იციელობანას,გაშეშობანას და მოკლედ რას არა.უკანა გ ზაზეც კარგად ვერთობოდი თ და არ გვინდოდა მალე ჩ ავსულიყავით მარა გზა ხომ ვერ დაგრძელდებოდა:))))

ნინი მჭედლიძე

Remove Watermark Now

5 აპრილი 2019 წელი

I'm backkkkkk! დღეს უკვე პარასკევის საღამოა და მთელი კვირა ისე მალე გავიდა ვერც კი ვიგრძენი.
დილით,როგორც ყოველთვის მამას დაძახებულზე-„ნინ იიი,20 წუთია",გამეღვიძა.ავდექი,მოვემზადე,ჩაი დავლი ე,უსწრაფესად ჩანთა ჩავალაგე და ცხრას რომ 5 აკლდა ს ახლიდან გავედი.ორ წუთში სკოლაში ვიყავი.კლასში შევ ედი და ანის წინ დავჯექი.პირველი ფიზიკა გვქონდა.მეო რე გაკვეთილის შემდეგ ბუფეტში ჩავედით და საჭმელი ვიყიდე,მერე ანისაც მოშივდა მარა რომ მივბრუნდით უკ ვე ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარ იყო.მეხუთე გაკვეთ ილიც გამოვიდა,ეკა მასწს დავეთხოვეთ მე,გულო,ელე,ა ლექსი,ტაბა და სამასწავლებლოში პროექტზე ვმუშაობდ ით. საინტერესო იყო მასწავლებლებთან ერთად სამასწა ვლებლოში ყოფნა,აი ასე ჩვეულებრივი ადამიანებივით რომ განიხილავდნენ ამა თუ იმ თემას :) სკოლის შემდეგ ეგრევე სახლში წავედი.ბებომ რძიანი ყავა დამალევინა.ა მასობაში მათემატიკა დავწერე და წავედი.იქ სალომე და მე ვლაპარაკობდით და თან ვიცინოდით,სანამ დრო გვქო ნდა.მასწავლებელმა გვიან გამოგვიშვა,ამიტომ სალომე ს და თიკოს ძალიან ვაჩქარებდი.იცოდნენ ცეკვა მქონდა. მე და თიკო უკვე ხიდზე გადმოვდიოდით,როცა მომავალ ი მარშუტკა დავინახე.კიბებზე ჩავირბინე რომ მიმესწრო. უკვე ხუთი წუთი აკლდა შვიდს.ფორმა ჩავალაგე და ცეკვ აზე წავედი.რეპეტიციის მერე სახლში დავბრუნდი.ბებოს თან ერთად ფილმს ვუყურე და მერე ვიმეცადინე.ახლა უკვე თორმეტი ხდება და მეძინება ამიტომ ნახვამდის!

pdfelement

ნინი მჭედლიძე

Remove Watermark Now

12 დეკემბერი 10:22
 მოვედი დღიურო. როგორ ხარ? ახ
ლა ვარ ქართულის გაკვეთილზე. ხ
ო საკონტროლო გვქონდა, მაგრამ
რატომღაც ადრე მოვრჩი და ესე უს
აქმურად რომ არ ვიჯდე, შენ გამახ
სენდი და მოვედი. გარეთ არც ისე
ცუდი ამინდია, მოღრუბლულია. რ
ოგორც ჩანს თბილისში წელსაც არ
იქნება თოვლი. ნუ ხო 1დეკემბერს კ
ი მოთოვა, თუმცა ძალიან ცოტა. თ
ითქმის 5-10 წუთი თუ თოვდა. ალბ
ათ ყველას, ნუუ ალბათ რაა ყველა
ს უყვარს ახალი-წელი, მაგრამ იგი
თოვლის გარეშე არაფერია. და ამა
ში ალბათ შენც დამეთანხმები. კარ
გი კარგად.

pdfelement

11 დეკემბერი 12:30 გამარჯობა დღ
იურო. როგორ ხარ? იმედია კარგად
. რაზე მინდა გესაუბრო. მოკლედ,
მასწავლებლები, როცა ჩვენს კლას
ს წააწყდებიან, ძალიან მოსწონთ,
რადგან ძალიან ლამაზადაა მორთ
ული. ფანჯრები ძალიან ლამაზად
აა მოხატული. ნაძვის ხეც მოვრთე
თ და ნათურების ყიდვასაც ვაპირე
ბთ. კიდევ კლასის მორთვას და იმ
ცარიელი ადგილების შევსებას რო
მელიც დარჩა წიწვებით ვაპირებთ.
კარგი დღიურო, ნახვამდის.

მარიამ მითაგვარია

Remove Watermark Now



28/03.2019

მოგესალმები, დღიურო!

დღეს მინდა მოგიყვე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო მომენტი. ეს დაიწყო 29 აპრილს. დამირეკა სერგიმ და მითხრა: ხვალ ვაზიანში წამოხვალ?! მე გავოგნდი, გამიხარდა, მაგრამ ხვალ სკოლა მქონდა. დეამ მხარი დამიჭირა. ეგ წელიწადში ერთხელ ხდებაო. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა 30 აპრილზე, როდესაც ქართულ ჯარს 27 წელი შეუსრულდა. 30 აპრილს დილით ადრე ავდექი, ჩავალგე მათარა წყლით, სვიტრი და საწვიმარი. ჩავიცვი ფორმა და წავედი სერგისთნ. სერგისთნ ვჭამეთ და მოვიდა ზურა ძიას მძღოლიც. დაახლოებით 45 წთ-ში ვიყავით ვაზიანში, დაიწყო პარადი, მოეწყვნენ ჯარისკაცები სპეციალური დანიშნულების ძალებიდან და სხვანი, სიტყვით გამოვიდა ლევან იზორია და გიორგი მარგველაშვილი. ვაზიანში ციოდა, მაგრამ ტანკში თბილოდა.

როცა ტანკში ვიჯექი თავს HEUCZBCMLD ვგრძნობდი. შემდეგ ვნახეთ სნაიპერი, იარაღები, დელტას ჩაფხუტი და ბრონი JAVELINIS. ანტი სატანკო სისტემა, არტირელისტური კოშკები. შემდეგ დავდექით სპეცრაზმის გვერდით და დაახლოებით 30-45 წუთი ვიდექით.პარადი დამთავრდა და სახლებში ბედნიერები დავბრუნდით. ერთი სული მაქვს კიდევ როდის წავალ.

დაჩი არჯევანიძე

pdfelement

3 დეკემბერი, 2018 წელი. მოგესალმები დღიურო! ახლა ქართულის გაკვეთილზე ვზივარ და შენ გწერ. მთელი ორი გაკვეთილი ჟურნალ-გაზეთებს ვკითხულობდი. ძალიან მომეწონა ქართული წარმოების 65,დაზიკა დიდგორი 1 და 2, ჩაფხუტი და ბრონი. ავღანეთში ქართველები ამბრონებით და ჩაფხუტებით მიდიან. ეს გამოუშვა სამეცნიერო ტექნიკურმა ცენტრმა DELTA-მ. დღეს ამით დაგემშვიდობები.

Remove Watermark Now

pdfelement

28/03/2019

გამარჯობა დღიურო! ა ხლა მეხუთე გაკვეთილ ია.სანამ ქართული დაი წყებოდა დასვენებაზე ჩვენმა კლასელებმა იჩხ უბეს, დანარჩენები კი ვ აშველებდით. დღეს 6 ს აათზე ჩვენი კლასელის სამძიმარზე მივდივარ თ.დღეისათვის სულ ეს იყო, ნახვამდის!

გუჯა ფიროშვილი

Remove Watermark Now

28/03/2019

ძვირფასო დღურო, დიდი ხანია არ მომიწერია და ბევრი რამ მაქვ მოსაყოლი. ესე იგი, ძალიან მალე 1 აპრილია, 4 დღეში და რამე საშინელი ხუმრობა უნდა მოვიფიქრო. წინა წელს ჩემმა უფროსმა ძმამ მე და ჩემს უმცროს ძმას მარილიანი ჩაი დაგვალევინა. საშინელება იყო. მაგრამ წელს შური უნდა ვიძიო . ოღონდ ჯერ ვერ გეტყვი, როგორ . ისე სკოლას უკვე თითქმის შევეგუე, და ბავშვებსაც უკვე თითქმის დავუმეგობრდი. ერთმანეთთან უარყოფითი დამოკიდებულება არ გვაქვს, მაგრამ მთლიანად თვისუფლად მაინც ვვერ ველაპარაკები, უფრო სწორად დავუმეგობრდი მაგრამ ისე არა, როგორც ძველ კლასელებს.

გარეთ ბავშვების გასაცნობად ჯერ ვერ გავდივარ იმიტომ, რომ ცივა და არავინ არ გამოდის. მარტო ყოფნა კიდევ მოსაწყენია. 3 თვეში სკოლა მთავრდება და გამოცდები იწყება . არადა მომზადებულ არ ვარ. თან სკოლიდან წასვლაც არ მინდა. სახლშიც მოსაწყენია. დედაჩემს ეს სახლი ისე მოსწონს, არდადეგებზე სოფელში წასვლაც კი აღარ უნდა. ჩემთვის კი დევ ძნელია მთელი დღე სახლში ყოფნა ბასეინის გარეშე. 10- ში დეიდა ჩამოდის თურქეთიდან. რავი კიდე რა გითხრა? მოკლედ ვსიო. კაი წავედი, უნდა ვჭამო . pk

ნათია არჯევანიძე

pdfelement

Remove Watermark Now

28 მარტი 12:35

28 მარტი 12:35 ხუთშაბათი დღიურო! დღეს ისევ უნდა მოგწერო გიხარია?...კარგი,თ
უ გინდა ნუ მიპასუხებ. ესე იგი, დილით ავდექ ი, ჩავიცვი, თმა დავივარცხნე, ჩანთა ჩ
ავალაგე , კბილები გავიხეხე. 40 წუთში მზად ვ იყავი. ვცდილობდი არ დამეგვიანები
ნა სკოლაში, მაგრამ, როგორც კი შენობაში შევდ გი ფეხი, მაშინვე ზარი დაირეკა . გაკვ
ეთილებმა ჩვეულებრივად ჩაიარა, მაგრამ მეექ ვსე გაკვეთილიდან გამოვიპარეთ თი
თქმის ყველა, ანუ პრობლემები შევიქმენით . მეგ ობრები მრგვალ პარკში ვისხედით
და ცოტა ხანში დავშალეთ. შემდეგ ერთი გზით მი მავალმა სამეგობრო ოთხეულმა
ფოტოების გადაღება გადავწყვიტეთ ბევრი სურათე ბი გადავიღეთ და როგორც იქნა
თავი კომფორტულად ვიგრძენი ჩემთვის მიუღებელ გარემოში, ვაზისუბანში. ისე, ვა
ზისუბანი არ მეზიზღება, მაგრამ ჩემი აზრით, ავლაბ არს და ელიას ვერ შეედრება . ა
ქ სულ ყველგან კორპუსებია და ეს ჩემთვის უცხოა. ვი ხსენებ ელიას ,ჩვენს დანგრეუ
ლ სახლ-ქოხს და მაინც მყუდრო მეჩვენება . განსაკუთ რებით მომენატრა ის საღამოე
ბი, როდესაც მე , ჩემი ძმები და ძმაკაცები როლიკებით დავდიოდით. მომენატრა ჩვე
ნი სახლის ხედი, რომელიც მთაწმინდას, ანძას , სამება ს და მთელ თბილისს გადაჰყ
ურებდა . მომენატრა ჩემს დაქალთან ერთად სიცივეში სეირნობა და ბოლოს კაფეში
გათბობა, მომენატრა მამაჩემთან ერთად საღამოობით რიყეზე, სკეიტპარკში ან შარ
დენის ქუჩაზე სიარული,მიუხედავად იმისა,რომ შარდენ ზე მხოლოდ ორჯერ გადავ
ედით.ყველგან ლამპიონები ანათებდა და კაფეებიც ნეონ ის შუქით იყო გაბრწყინებ
ული. მახსოვს გვციოდა და ოფიციანტმა პლედები მოგვიტა ნა. 2015 წლის ახალი წე
ლი მომენატრა არა მარტო 2015ის საერთოდ ყველა .მთელი ს ასტავი შუა გზაზე ვდგ
ებოდით და სალიუტებს ვისროდით. როცა მოდაში იყო ბირჟა მაფიას ,,ხლაპუშკა"-ს
ვუსმენდით და თან ვმღეროდით, მაგრამ მე უფრო ,,Merry christmas" მიყვარდა. ჩვენ
ი საძინებელიც კი მომენატრა, რომლისაც პატარაობაში ძა ლიან მეშინოდა. ყველაფე
რ ამასთან შედარებით ვაზისუბანი ძალიან ცივ ფერებში წ არმომიდგენია. ერთადე
რთი დამაიმედებელი ხეები და მათი სუნია, როგორც ლალი ბებოს ბაღში. იქაური სი
ცხე და მზის ჩასვლა მენატრება , ჩემი კატებიც მენატრება უპა ტრონოდ, რომ დავტო
ვე.რა თქმა უნდა კლასელები და სკოლაც მენატრება. ახლა ვხვ დები რამხელა ბედნი
ერებაა ჩემთვის იქ გატარებული ყოველი წამი და რამხელა ტკი ვილია ამ ბუნების იმ
ბუნებასთან შედარება. არადა მაშინ როგორ მინდოდა იქიდან წამოსვლა. დარწმუნე
ბული ვარ სულ, სულ ბოლოს,ეს წუთიც მომენატრება.

pdfelement

ნათია არჯევანიძე

Remove Watermark Now

28.03.2019
 გამარჯობა დღიურო! დიდი ხანია შენთვის გული არ გადამიშლია.გუშინ,მე და დედამ ვიჩხუბეთ იმაზე, თუ რატომ ასდიოდა ჩემს ქურთუკს სიგარეტის სუნი,ვეუბნებოდი, რომ მე არ ვეწეოდი და ეს ჩემმა ძმაკაცმა გააკეთა, მას არ სჯეროდა, ძალიან გაბრაზებული ვიყავი და სახლიდან წამოვედი.ეს ჩემს ძმაკაცს ვუთხარი და მან თავის სახლში დარჩენა შემომთავაზა.მამამისმა დამიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ოჯახის არცერთ წევრთან არ შეიძლებოდა ჩხუბი, კიდევ ბევრ რამეზე მელაპარაკა. ბოლოს სახლში ავედი დედაჩემს ბოდიში მოვუხადე და დავიძინე.
ლაშა წულუკიძე.

pdfelement

Remove Watermark Now

7 თებერვალი 13:25 ხუთშაბა თი 2019 წელი.

დღიურო! ახლახანს მომინდა, რომ გელაპარაკო თემაზე, რომელიც ჩემ თვის ძალიან მნიშვნელოვანია. გე ლაპარაკო, თუ რამხელა მნიშვნელ ობა აქვს ჩემი სამყაროსათვის კლას იკურ ნაწარმოებს. მუსიკაზე დავდი ვარ უკვე შვიდი წელია და ფორტეპ იანოზე დაკვრა ჩემთვის ყველაფრ ის ტოლფასია . ჩემზე მუსიკა დადე ბითად მოქმედებს და ყოველთვის შესაბამის განწყობას მიქმნის, მაგრ ამ ხშირად მატირებს კიდეც. ჩემთვ ის მუსიკის გარეშე ცხოვრება წარმო უდგენელია. არასოდეს დამავიწყ დება ჩემი პირველი კონცერტის ემო ციები, სიხარულთან ერთად ნერვი ულობაც სუფევდაჩემში.ჩემში.კომპ ოზიტორთა სახლში, უამრავი ადამ იანის თვალწინ უნდა წარმედგინა ჩემი რეპერტუარი.

როდესაც ჩემი დრო მოვიდა, აღელ ვებული დავჯექი როიალთან, თით ებმა ჩემდა უნებურად დაიწყეს და კვრა, ნაწარმოები იმდენად ჩემი იყ ო, სიამოვნებისგან გათიშული ტაშ ის ხმამ გამომაცოცხლა. ეს ის შეგრ ძნებაა, რომელსაც სიტყვებით ვერ აღვწერ, დასასრულს ხალხის წინ დგახარ, რომლებიც მხურვალე ტაშ ს არ იშურებენ შენთვის. ამ დღის შ ემდეგ ვცდილობ, ნაკლებად ვინერ ვიულო კონცერტის ან კონკურსის წი ნ, რამდენად კარგად გამომდის, ვე რ ვიტყვი, მაგრამ პირველი გამოსვ ლის ემოციები ჩემთვის ყოველთვი ს ამაღელვებელი და დასამახსოვრ ებელია. ამის დასტურადმოვიხმობ ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონ ის სიტყვებს:

,, მუსიკა სამყაროს აძ ლევს სულს, გონებას ფრთებს, შენს ფანტაზ იებს ფრენის საშუალე ბას, ცხოვრებას კი ყვე ლაფერს”.

ელენე მჭედლიშვილი

pdfelement

Remove Watermark Now

25 დეკემბერი 12:31 ხუთშაბათი, 2019 წელი

ჩემო მეგობარო! გუშინ წიგნს ვკითხულობდი - ლინდა მალალი ჰანთის "თევზი ხეზე" და შევეცდები ნათლად გადმოგცე ჩემი წაკითხული.

ბავშვებმა და მასწავლებელმა გადაწყვიტეს ერთმანეთის შინაგანი სამყაროს უკეთ გასაცნობად თვერადთვერად, ლამაზ დღიურებში ყველა დღე აღეწერათ. .

pdfelement

იმ წამსვე ნესტანი მასწავლებელი და ჩვენი კლასი გამახსენდა.თევზი ხეზე, ეს ის წიგნია, რომელიც ერთი ამოსუნთქვით შეიძლება წაიკითხოს ადამიანმა. ლინდა მალალი ჰანთს წიგნში დამოწმებული აქვს ალბერტ აინშტაინის სიტყვები: "ყველა ჭკვიანია, მაგრამ თუ თევზის შესაძლებლობებს იმის მიხედვით განსჯი, ხეზე ასვლა შეუძლია თუ არა, ის დაიჯერებს, რომ სულელია". ერთი სული მაქვს, როდის გავაგრძელებ წიგნის წაკითხვას, რათა შესაძლებელია კიდევ ვიპოვო რაიმე საერთო ჩვენსა და წიგნის პერსონაჟებს შორის.

ელენე მჭედლიშვილი

Remove Watermark Now

3 დეკემბერი, 2018 წ. დღიურო! დღეს ორშაბათია. დღიურების წერა როცა დავიწყეთ, დავთქვით, რომ ყოველი თვის დასაწყისში ერთ დღეს დღიურების კითხვას დავუთმობდით. ხოდა დღეს მართლაც წავიკითხეთ დღიურები! ძალიან მაგარი იყო!! ჩემი აზრით დღიურების წერის კიდევ ერთი დადებითი მხარეა ისაა, რომ უკეთესად ვეცნობით ერთმანეთის შინაგან სამყაროს და აზრებს. ძალიან მაგარია, როდესაც იცი, რომ დღიურების კითხვისას გარშემო ყველა გულწრფელია, ზოგი გადაჭარბებულად, ზოგიც მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც კარგია, როდესაც შეგიძლია უსმინო ვიღაცის სიტყვებს ისე, რომ მის არცერთ სიტყვაში შეგეპაროს ეჭვი. კარგი დღიურო ახლა შთაბეჭდილებების წაკითხვის დროა!♡

22 ნოემბერი, 2018 წ.
ჩემო დღიურო! მართალია ყოველთვის ვცდილობ რაიმე თბილი სახელით მოგმართო, მაგრამ სულ ასეთი უბრალო მიმართვა რომ არ გვქონდეს, გადავწყვიტე რამე სახელი მოგიფიქრო და სულ იმით მოგმართო, როგორც ანა ფრანკი ეძახდა თავის მეგობარ დღიურს- კიტის. დღეს ჩვეულებრივ ხასიათზე ვარ,არც არაფერი განსაკუთრებული მონხდარა და მოსაყოლიც არაფერი მაქვს. თან რომ არ მოგატყუო, ძალიან დავიღალე. მოკლედ შენს სახელზე ვიფიქრებ და ვეცდები, რაც შეიძლება მალე ისეთი სახელი დაგარქვა, რომელშიც რაღაც მინიშნება და იმალება, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ ჩვენ ორს გვეცოდინება. ახლა წასვლის დროა, ხვალამდე!

გ. ჯიღაური

pdfelement

Remove Watermark Now

28.03.2019

ჩემო საყვარელო დღიურო! ახლა ქართულის, მეხუთე გავეთილია და ძალიან დაღლილი ვარ . იცი, გუშინ ბიბლიოთეკი დან ანა ფრანკის „უკანა სახლი“ გამოვიტანე. ისე თი საინტერესოა, მაშინ ვე ჩამითრია. მთელი დ ღე მხოლოდ ამ წიგნს ვკ ითხულობ. დღეს საშინე ლი დღეა, ძალიან ცუდა დ ვარ, იმიტომ რომ ჩემი კლასელი გარდაიცვალა , ლუკა... ძალიან კარგი ბ იჭი იყო. მან ჩვენთან სუ ლ რაღაც 2-3 კვირა გაატ არა, მაგრამ ამ მცირე დ როში თავი ძალიან კარგ ად დამამახსოვრა. ნეტა ვ ეს არ მომხდარიყო. დ ღეს კლასი სამძიმარზე მ ივდივართ. ჩვენ ლუკა ს ულ გვემახსოვრება.

pdfelement

სალომე ქურდაშვილი

Remove Watermark Now

13/01/2019 9:30

დღეს ჩემი დაბადების დ
ღეა! ძალიან ადრე გავიღვ
იძე, ამიტომ გადავწყვიტე
შეგხმიანებოდი. დღეს ჩე
მს საუკეთესო დაქალებს
დავპატიჟებ, მაგალითად:
მითოს, ჯიღოს, ბაქანიძეს
და ასე შემდეგ. დღეს რაც
მოხდება ყველათვერს მოგ
იყვები. ახლა კი წავედი,ბე
ვრი საქმე მაქვს.

14/01/2019 11:20

მეორე დღეა. როგორც ყოველ
თვის იდეალურად გავერთეთ.
ჯიღაურმა როგორც ყოველთვი
ს ძალიან იგიჟა და ბევრი და
ლია, მითაგვარიამ 1000 სელფ
ი გადაიღო, ბაქანიძე თავის კო
რიელ ჯუნკონგზე (თუ რაღაც მ
ასეთზე) ილაპარაკა, ფოცხვერა
შვილი მღეროდა, მე კი ვცეკვავ
დი. მოკლედ ძალიან მაგარი დ
რო ვატარეთ და ბევრი დავლი
ეთ კიდეც. ეს იყო საუკეთესო დ
აბადების დღე საუკეთესო მეგ
ობრებთან ერთად! ახლა კი წა
ვედი. დროებით ჩემო საყვარე
ლო დღიურო.

pdfelement

სალომე ქურდაშვილი

Remove Watermark Now

26ნოემბერი 12:22 ორშაბათი

გამარჯობა დღიურო! როგორ ხარ? იმედია კარგად. ახლა ქა რთულის გაკვეთილზე ვზივარ და შენ გწერ, თან გარეთ ვიყუ რები. გარეთ ნიავია და თან ა რავინ არის. შიგნით კი ვხედავ უმოძრაო სკამებს, მერხებს, დ ათვას, შეიძლება ითქვას ბავშვ ებსაც, რადგან პასტისა და ხე ლის გარდა არაფერს ამოძრავ ებენ . იმედია თავი არ მოგაბე ზრე . კარგი აბა, დროებით, ჩვე ნი საუბრის დრო ამოიწურა.

05/17/18 გამარჯ ობა დღიურო, როგორ ხ არ? იმედია კარგად. მე დღეს მინდა მოგიყვე ჩე მი ერთ-ერთი ყველაზე კარგი დღე. ეს დღე იყო, როდესაც ძაღლი მოვიყ ვანე. 2018 წლის სუსხია ნი გაზაფხული იყო. წავ ედით ბიძაჩემთან. მასა ც ძაღლი ჰყავს და ჩემი ძაღლი ცოტა არ იყოს შე შინებული იყო.

pdfelement

გიორგი ძნელაშვილი

ცოტა ვაჭამე, მერე გავა თბე, რადგან ციოდა, შე მდეგ კი წამოვიყვანეთ. გზაში მეხუტებოდა, მლ ოკავდა, ერთი სიტყვით სიყვარულს გამოხატავ და.მოვიყვანეთ. თავიდ ან სახლში არ შედიოდა , გამოყვანის დროს კი ა რ გამოდიოდა.გავიდა ორი კვირა და თვითონვ ე გამორბოდა. მოკლედ ეს იყო ჩემი საუკეთესო დღე.კარგად დღიურო. გიორგი ძნელაშვილი

Remove Watermark Now

25.03.2019

გამარჯობა დღიურო! მე მინდა მოგიყვე ჩემს ერთ- ერთ განსაკუთრებულ დღეზე, ეს იყო სამმარტს. დედასთვის საჩუქრის გაკეთება მინდოდა და დედას ვუთხარი, რომ ჩემს მეგობრებთან მივდიოდი, სინამდვილეში კი დეიდასთან ავედი, რომ საჩუქარი ამერჩია. მე და ჩემი დეიდა წავედით საჩუქრის ასარჩევად, ბევრი ვიარეთ და ბოლოს დავინახეთ ყელსაბამი, რომელზეც დედა შვილი ეხატა. უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ის უნდა მეყიდა. მეორე დღეს ლამაზ ყუთში ჩავდე ყელსაბამი და დედას მივეცი ლამაზ ყვავილებთან ერთად. დედას ძალიან გაუხარდა და ასევე მეც.

ლიზა შავარდენიძე

7.03.2019

გამარჯობა დღიურო, მინდა მოგიყვე, თუ როგორ გავატარე ახალი წელი. მე და ჩემი დეიდაშვილები წავედით საჩუქრების საყიდლად 30 დეკემბერს და ლამაზად შევფუთეთ. მეორე დღეს დავიწყეთ მომზადება, ვიყიდეთ ბევრი ასათვეთქებელი და დაველოდეთ 12 საათს. ყველა ერთად დავჯექით და საჩუქრების გახსნა დავიწყეთ. ჩვენს სახლში იყო ჟრიამული და მუსიკების ხმა ისმოდა. ავათვეთქეთ ბევრი ასათვეთქებელი. ეს დღე არის ჩემთვის საუკეთესო დღე, რადგან ამ დღეს ყველა ერთად ვიყავით.

ლიზა შავარდენიძე

pdfelement

Remove Watermark Now

27.03.2019

pdfelement

გამარჯობა დღიურო. ახლა მინდა ერთი დღე გავიხსენო, თუ როგორ შევხვდით მე და ჩემი ოჯახი ახალ წელს. ჩვენ დილიდანვე დავიწყეთ საახალწლო მზადება. მე და ჩემმა ძმამ ამოვიტანეთ მაგიდა სარდაფიდან და გაშლა დავიწყეთ. ამ დროს შუათანა ძმა პურის რიგში იდგა, ჩემი დაიკო და მისი ქმარი კი დედაჩემს ეხმარებოდნენ უგემრიელესი საჭმელების გაკეთებაში. უფროსი და თავის ოჯახთან ერთად ქმრის სახლში შესდგომოდა სამზადისს. როგორც იქნა მიიწურა საღამო და თორმეტის ნახევრისთვის ყველანი სუფრას მივუსხედით. გემრიელად მივირთვით და ა ძველი სახალისო ისტორიებიც გავიხსენეთ. როდესაც თორმეტ საათს აკლდა სულ რაღაც 10 წამი ყველამ დავიწყეთ უკუთვლა. 10 წამში გაისმა მილოცვებისა და ჭიქების ჭახუნის ხმა. 15 წუთში შემოგვიერთდა ჩემი დის ოჯახი. დავიწყეთ საჩუქრების გაცვლა, გახსნა და ფეერვერკის გასროლა. ამ ახალ წელს მთელი ოჯახი სიხარულითა და ბედნიერებით შევხვდით.

ლუკა გიორგაძე

Remove Watermark Now

18 დეკემბერი

ბოდიში დღიურო ამდენიხ ანი რომ არ გწერდი.მთავარ ია ახლა აქ ვარ.სიმღერაზე,ც ინცაძესთან ერთად, კონცერ ტი მქონდა გრიბოედოვში.მა სწავლებელს ჩვენი გამოსვ ლა ძალიან მოეწონა და მად ლობები გვიხადა.ორშაბათს სკოლაში არ ვყოფილვარ, არ ც სიმღერა მქონდა. დღეს კა რგი დღეა, ისტორიაში ორი ა თიანი მივიღე, ერთი გაკვეთ ილის მოყოლის, მეორე კი სა კონტროლოსი. ძალიან გამი ხარდა და დედას დავურეკე :

- დე იცი რა ბედნიერი ვარ?!
- რა მოხდა, მშვიდობა ა ანი?
- ისტორიაში ორი ათია ნი მივიღე!
- როგორ შემეშინდა, რა მოხდათქო.
- არ გაგიხარდა?
-კი დე, ძალიან.
-კაი, კარგაად.
- კაი, ჭკვიანად.

ახლა ქართულია ახლა ი მაზე ვფიქრობ თუ რა დრ ო იქნება ბაკურიანში, რა წ ავიღო. ორ დღეში მივდივ არ ცეკვიდან, მაგარია, მი ხარია. აუუ დღეს ცეკვაზე ერთი ამბავი იქნება ჰატა რა გასახდელში ამდენი ბ ავშვი,, რომ ვიცვლით!!!!!! აირევა სამივე ფორმა. აბ ა კარგად! უი სულ დამავი წყდა გურო ვნახე (ჩემი მა თემატიკის ძველი მასწავ ლებელი) გამიხარდა ძა ლიან ნახვამდის დღიურ ო.

ანი მაისურაძე

pdfelement

Remove Watermark Now

13 დეკემბერი

გამარჯობა დღიურო ! აი... დადგა ეს დღეც ^_^ მი ვდივართ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, N50 ავტობუსი თ.მე ნინი და ნესტანი მასწი ერთად ვისხედით, მთელი გზა რ აღაცეებზე ვხუმრობდით.

როდესაც,მუზეუმში მივედით პირველი ოკუპაციის დარბა ზი დავათვარიელეთ. მუზეუმში უამრავი ახალი,ძალიან ს აინტერესო და ამავდროულად ტრაგიკული ამბავი გავიგე თ.ტრაგიკულია ის რომ ამდენი უდანაშაულო ადამიანი დ აიხვრიტა საბჭოთა კავშირის დროს.ყურადღებით ვაკვირდ ებოდი ბრძოლის იარაღებს,გავიგე მეტი მარო მაყაშვილზე იცი თურმე იგი დღიურებსაც წერდა, მარო მაყაშვილი საქა რთველოს ეროვნულ გმირად იქცა მან თავი გასწირა საქარ თველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.ოკუპაციის მუზეუმის გარდა სხვა დარბაზებიც მოვინახულეთ :ქართუ ლი ეროვნული ტანისამოსების,უძველესი მონეტების,გვი რგვინების. ეს ყველაფერი მართლაც საინტერესო იყო. ისე მომეწონა , რომ კიდევ ვესტუმრებოდი დიდი სიამოვნები თ ^_^ ალბათ 2 საათ ნახევარი ვიყავით ბავშვები მუზეუმ ში დავიღალეთ სიარულით, ამას შიმშილიც მოყვა გადავწ ყვიტეთ მაკდონალდში წასვლა. დაახლოებით ნახევარი ს აათი ვიყავით, მე და ტაბას (ტაბატაძეს) ცეკვის გამო წასვ ლა მოგვიწია, ცოტათი სულ ცოტათი გვეწყინა მაგრამ წყენ ა ვისღა ახსოვდა მთელი გზა მუზეუმზე ვლაპარაკობდით ვის რა მოეწონა :დდდ საბოლოო ჯამში ეს დღე ისეთი გამ ოვიდა , რომ არასოდეს დამავიწყდება.უმაგრესი დღე უმა გრეს კლასელებთან და მასწავლებელთან ერთად <3

ანი მაისურაძე

pdfelement

Remove Watermark Now



დეკემბერი, 2018 წელი. გამარჯობა, დღიურო! დღეს წლის ბოლო დღეა, ჩემს სახლში კორიანტელი ტრიალებს. სოფლიდან სტუმრად ჩამოსული ნათესავები ადგილზე არ ჩერდებიან, ათასი საქმეა, ყველა ფუსფუსებს და რაღაცას აკეთებს, თან წარსულის მოგონებებს კისკისით იხსენებენ. მოკლედ ერთია ახალი წლის ლოდინი და მეორე მათი ცქერა და მოსმენა. მე და ჩემს ნათესავს, რომელიც მხოლოდ ერთი წლითაა ჩემზე პატარა, სამზარეულოში აღარა ფერი დაგვრჩენია და დროის გასაყვანად კომპიუტერს მივუსხედით. დროდადრო ათასნაირი საჭმლის სუნი შემოდიოდა ოთახში და რა თქმა უნდა, ჩვენც გავხედავდით ხოლმე. იქ მისულებს ის იყო ხელი უნდა წაგვევლო და გემრიელად მოგვეკბინჩა რაიმე კერძი,რომ თავზე გვადგებოდნენ საყვედურით გვავსებდნენ მაგრამ აბა ვინ უსმენდა მათ. ეს ხომ ახალი წელია, სიხარულით სავსე დღე. ამ დროს ყოველთვის გადის ტელევიზორში სახალისო ფილმები, რომელთაგან ჩემთვის და ალბათ კიდე ბევრი სხვა ბავშვისთვის, განსაკუთრებულია ,, მარტო სახლში”. აი დაიწყო ეს ფილმიც, კომპიუტერიდან ტელევიზორისკენ გადავინაცვლეთ და თვალის მოუშერებლად დავიწყეთ ყურება. ასე ტკიბალად გავიდა დრო. ხან ვთამაშობდით, ხან ვუყურებდით, ხან ვუსმენდით და ათასნაირად ვერთობოდით. როგორც იქნა კუსავით ნელმა ყველაზე მოკლე ისარმა გაიარა 11 საათის აღმნიშვნელი სიმბოლო და მიუახლოვდა თორმეტისას. 10 წუთიღა აკლდა, მაგრამ ეს ათი წუთი მთელ დღედ მომეჩვენა, ვეღარ ვითმენდი, მაგრამ დრო ხომ გადის, ადრე თუ გვიან მივედი ჩემს საყვარელ მომენტზე, როცა ყველა იწყებს უკუთვლას. გაისმა ხმა 10, 9, 8, 7, 6, 5, 4, 3, 2, 1 და ყველამ შესძახა ერთხმად: გილოცავთთთთ.

pdfelement

ალექსანდრე ანანიშვილი

Remove Watermark Now

4.03.2019

ორკვირიანი მოგზაურობიდან დავბრუნდი დ
ღიურო. ამ დროის განმავლობაში ვერაფერი
გაგიზიარე, თუმცა დღეს ვეცდები მოგიყვე ყვ
ელაფერი, რაც სოფელში ყოფნის დროს გად
ამხდა.

დილით ადრე გამაღვიძეს. მალე გავემზადე, მაგრამ ნახევრად მე
ძინა. ერთი სიტყვით ისიც არ მახსოვს, როგორ მიმიტანეს და ჩამს
ვევს მანქანაში. მგზავრობის დროს მუსიკის ფონზე ცოტა გამოვცო
ცხლდი, ასჯერ მაინც წავსულვარ სოფელში გომბორის გავლით, მ
აგრამ ბაბუაჩემს მაინც ათას კითხვას ვაყრიდი. ეს ორი საათი მალ
ე არ გასულა, მაგრამ არ ღირს მგზავრობაზე ლაპარაკი, მოდი ეს გ
ამოვტოვოთ. და აი როგორც იქნა ჩავედით სოფელში. იქ ნათესავე
ბი გველოდებოდნენ. მალე ამოვალაგეთ ნივთები და გამოვიცვა
ლეთ. ეს ჩემი საუკეთესო მომენტია, როცა სოფლის სახლში მეორ
ე სართულის აივანზე გავდივარ, ყველა იქ მხვდება, გრილი სიო უ
ბერავს და თითქოს მას მეც დავყვები. ჯერ ყოველთვის აივნის კი
დესთან მივდივარ და შორს უსასრულობაში ვიყურები, დაბლა ბა
ღი, პატარა ვენახი, შემდეგ ტყე, ტყე, ბუნება, ხეები და ამ უსასრუ
ლობას კავკასიონის მთები აჩერებს. ძალიან შორს, ღრუბლებში დ
აკარგული, დათოვლილი კავკასიონი ისეთი ლამაზი სანახავია, რ
ომ უბრალოდ ვერ აღვწერ. უკნიდან თან ჩამესმის ლაპარაკი, ძვე
ლი დროის გახსენება. სოფელში იმდენი რამ გავაკეთე, რომ ამას
ერთი წიგნიც არ ეყოფა, ამიტომ გეტყვი, რომ ეს უბრალოდ ძველი
დროის გახსენება არ იყო, ეს იყო ახალი თავგადასავლების შექმნა
. ტრადიციულად ვესტუმრეთ ყველა ახლობელს და ნათესავს. ყო
ველი დღე სასიამოვნო იყო, ხან ვისთან მივდიოდით, ხან ვისთან.
ხშირად ჩვენთანაც მოდიოდნენ. ჩემი თანატოლი ნათესავი და ჩე
მი დ,ა გვერდზე მეზობელთან ხშირად გადავდიოდით. ნადიკვარ
ზეც ვიყავით წასულები. ყველაზე საამაყო და სამაგალითო მიმაჩ
ნია შეკრებ,ა რომელიც ნათესავებმა მოაწყვეს. იქ ოჯახებით იყვნე
ნ ყველანი მოსულები. ბებიაჩემმა ყველა გამაცნო, ვისაც არ ვიცნო
ბდი. სოფელში ყოფნისას ყველა რაღაცას გვატანს და იქიდან და
ტვირთულები მოვდივართ. მხოლოდ ეს არ იყო, თუმცა ამ ისტორ
იას ალბათ სხვა დროსაც გავაგრძელებ.

Remove Watermark Now

28.03.2019

გამარჯობა დღიურო. დღეს მე გი ამბობ თავისუფლებაზე. თავისუ ფლება,ჩემი აზრით, ეს ისეთი რა მაა, რომ თუ თავისუფალი არ ხა რ, ოცნებობ მაინც ამაზე.თავისუ ფლება ძალიან კარგი რამაა, რა დგან არ ხარ დამოუკიდებელი, რაც ძალიან კარგია, ანუ დამოუკ იდებელი ხარ. ყველა პრობლემა ს შენ თვითონ აგვარებ. დღესდღ ეობით საქართველო დამოუკიდე ბელი ქვეყანაა. და თუ სხვა ბევრ ი პრობლემა გაქვს, მხოლოდ თავ ისუფლებისთვის ღირს სიცოცხ ლე და ბრძოლა. მაშასადამე თა ვისუფლება ყველაზე კარგი რამა ა ცხოვრებაში.

Self element

Remove Watermark Now

31/03/2019 ამბობენ ადამიანის ყველაზე დიდი მესაიდუმლე ქაღალდიაო, ამიტომაც, როდესაც რაღაც მაწუხებს ან რაღაც მიხარია, სწორედ ქაღალდს ვუზიარებ ჩემ განცდებს. ყველა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს რაღაც გარდამტეხი პერიოდი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. ხშირად ვფიქრობ, თუ როდის იყო ჩემს ცხოვრებაში ასეთი მომენტი? ეს ალბათ მაშინ მოხდა, როდესაც მამა გარდამეცვალა. არ ვიცოდი 9 წლის ბავშვმა რა იყო სიკვდილი, რა ხდებოდა ჩემს გარშემო, რატომ ტიროდა დედა სასოწარკვეთილი, რატომ გვიყურებდა ყველა სიბრალულით, მინდოდა ამ ყველაფერს გავქცეოდი, არავინ არაფერს მიხსნიდა, თითქოს არ შემეძლო ამის გაგება. მაშინ დეიდამ გვერდით მომისვა და მურმან ლებანიძის "12 წლის კაცი" წამიკითხა, სადაც საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ დარჩა 12 წლის ბავშვი უმამოდ, როგორ არ ეშინოდა მამას სიცოცხლესთან გამოთხოვების, რადგან თამამად შეეძლო 12 წლის კაცისათვის დაეტოვებინა ოჯახი. ნეტავ მამაჩემსაც თუ ვეიმედებოდი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში?. მაშინ მივხვდი, რომ უეცრად გავიზარდე, რადგან ჩემს უკან ჩემი დედა და და იყო, მე კი ერთადერთი მამაკაცი ვიყავი ოჯახში. მართალია ნუგზარივით მთელი ოჯახი არ მაწევს კისერზე მოსავლელად, ზოგჯერ ვხვდები, რომ რაღაცას სწორად ვერ ვაკეთებ, ზოგჯერ დედასაც ვტკენ გულს, მაგრამ ცუდი ძმა ნამდვილად არ ვარ. მინდა ჩემს ოჯახს ჩემი ეიმედებოდეს, მინდა მამაც მშვიდად იყოს იმქვეყნად, რომ ოჯახი ჩემს იმედზე დატოვა

pdfelement

გიორგი ჯანყარაშვილი

Remove Watermark Now

13/12/2018

ნესტანი მასწავლებლის მონდომებით და ჩვენი ს
ურვილით გადავწყვიტეთ დღეს 13 დეკემბერს 2018 წელს წავულ
იყავით ეროვნულ მუზეუმში, სადაც გიდი ყველაზე მნიშვნელოვ
ან ფაქტებზე გვესაუბრა ჩვენი ქვეყნის შესახებ.

გვესაუბრა იმაზე, რომ 1918 წელს ჩვენ მივიღეთ
დამოუკიდებლობა, ჩვენი ქვეყანა სამჯერ იყო ოკ
უპირებული რუსეთის მიერ, რა დროსაც რუსებმა
200000 ადამიანი გადაასახლეს, 72000 კი დახვრ
იტეს,, რაც ჩვენი ერის ისტორიის ერთ-ერთი საში
ნელი ტრაგედიაა.ასევე ჩვენ გავეცანით უამრავ
ძალიან ლამაზ ნახატს, უმეტესობა იმ ადამიანე
ბის მიერ იყო დახატული, ვინც დახვრიტეს. ასევ
ე ვნახეთ დმანისიდან ჩვენი წინაპრების ზეზვას
და მზიას მანეკენები, დავათვალიერეთ უამრავი
ძველი გადმონაშთი, გავეცანით უამრავ იარაღს,
ხანჯლებს, ინდურ ღმერთებს რომელსაც მრავა
ლი ხელი და თვეხი ქონდათ. ვნახეთ ჩინური და
იაპონური ნაკეთობები, ძველი ქართული სამოსე
ბი, ძალიან მომეწონა ინდური ჭადრაკის ფიგურ
ები. ამ ყველათვრის ხილვა და გაცნობა ძალიან შ
თამბეჭდავი იყო და მსოფლიოს თუ არა, საქართ
ველოს საოცრებაში უნდა შედიოდეს ჩვენი ლამ
აზი მუზეუმი თავისი საინტერესო ისტორიით დ
ა წარსულით.

patrekhmont

გიორგი ჯანყარაშვილი

Remove Watermark Now

ორშაბათი 26/11/2018

გამარჯობა, ჩემო დღიურო. ეხლა მოვრჩი ქართულის საკონტროლოს წერას, თითქმის ყველაფერი დამავიწყდა, როგორ უნდა დამეწერა, მაგრამ იმედია ორიანს არ მივიღებ, თორემ შეიძლება გავაფრინო. არზიანმა ტვინი წაიღო, იმდენს მღერის და თან ჩემს უკან ზის და ფეხებს მიბრახუნებს, არ ჩერდება. დღიურო, თან მინდა გავიზარდო და თან არა. რომ არ გავიზარდო, სამუდამოდ მომიწევს სკოლაში სწავლა, და რომ გავიზარდო, კოლეჯში უნდა ვისწავლო. არ მინდა რაა. ცოტა ხანში ისე დავიტანჯები, რომ არ ვიცი რაა. მოკლედ ძალიან ცუდად ვარ დღიურო. აი ჩემი მეგობარი სალომე გუშინ იმდენს მეცადინეობდა, რომ თვალები გასიებული ჰქონდა, მაგრამ მასწავლებელმა ხუთიანი დაუწერა. წავედი დღიურო.

pdfelement

მარიამ ბაქანიძე

Remove Watermark Now

05/02/2019

გამარჯობა, ჩემო დღიურო. დიდი ხანია შენთვის არაფერი მომიყოლია, ახლა კი მინდა მოგიყვე ქართულის გუშინდელი დისკუსიის შესახებ. ჩვენ ვსაუბრობდით ლამაზ ადამიანებზე, თუ როგორ იჩაგრებიან ისინი და როგორ შურთ ადამიანებს მათი და ხშირად ექმნებათ პრობლემები, როცა დისკუსია დამთავრდა და სახლში წავედი, მერე გამახსენდა, რომ ხშირად ლამაზი გოგო და ბიჭიც ჩაგრავს სხვა ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათსავით ლამაზები არ არიან. მინახავს ასეთი ბევრი ფილმი, სადაც ლამაზი ადამიანები ჩაგრავენ სხვებს და ჩემს ცხოვრებაში ც მომხდარა ესეთი რამ, ჩემო დღიურო, ეს ყველაფერი კი შურის ბრალია. ეხლა გვერდზე ტაბატაძე მიზის და ტვინს მიჭამს. დიდი სიამოვნებით ჩავარტყამდი ერთს.

pdfelement

მარიამ ბაქანიძე

Remove Watermark Now

20/11/2018

დღეს ნესტანი მასწავლებელმა (ქართულს გვასწავლის) ასეთი იდეა მოგვაწოდა მთელ კლასს, რომ დაგვეწერა დღიურები... მთელ კლასს ძალიან მოეწონა და მეც მათ შორის... ასეთი ორიგინალური იდეა ჯერ არცერთ მასწავლებელს არ მოსვლია თავში... ჩემი აზრით, ეს დღიურების წერა ყველას ძალიან მოეწონა... კარგია დღიურების წერა იმიტომ, რომ ჯერ ერთი ელემენტარული წერის მანერას გაიუმჯობესებ და მეორეც, შეიძლება გვერდით ისეთი მეგობარი არ გყავდეს, რომელსაც ყველაფერს გაანდობ, ამიტომაც შენთან მეგობრობა ყველა ბავშვისათვის სასიამოვნო იქნება (ალბათ ჩემთვისაც.) კაი, რადგან ეს ჩემი პირველი დღეა აღარ ვიცი მეტი რა მოგწერო და რა მოგიყვე იმიტომ, რომ მოსაყოლი ბევრია და არც კი ვიცი საიდან დავიწყო. ჯერ მეგობრების შესახებ მოგიყვე თუ ჩემი სამომავლო გეგმების შესახებ მოგიყვე და რადგან მხოლოდ ხუთი წუთი მაქვ,ს მოდი, ყველაფერს შემდეგში მოგიყვები ნელ-ნელა. მარი ილურიძე

23/03/2019

შაბათ დღეს საშაურმეში ვიყავით. მარი მთელი კვირა მეხვეწებოდა წავიდეთ წავიდეთო. რომც არ მქონოდა დრო, უნდა გავყოლოდი იმიტომ, რომ მერე დამკლავდა .... და სხვათა შორის ჩემო დღიურო მშვენიერი დღე გამოგვივიდა, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ზემოთ გადასასვლელი ხიდები რომაა იმაზე დავგორდი, ძალიან ბევრი ვიცინეთ მეც და მარიმაც..... მერე მარიმ იმხელა პირი გააღო შაურმის ჭამის დროს, რომ რა ვიცი ცოტა შემეშინდა გაქცევასაც კი ვაპირებდი... ისე მარის სინამდვილეში გულიკო ქვია, მარა ყველა მარის ვეძახით .... მერე ერთი ბიჭი შემოვიდა, ერთ მსახიობს - საბას გავდა ძალიან და მე და მარიმ "საბა" დავარქვით .... მერე საშაურმეში მარიმ ჩამოსასხმელი კოკაკოლა უთხრა და ჩვეულებრივი მოგვიტანე,ს მაგაზე ორივეს ძალიან მოგვეშალა ნერვები, მაგრამ იმის მაგივრად რომ გვეჩხუბა, ძალიან ბევრი ვიცინეთ.... 10 ლარიანი შაურმა ძლივს შევჭამეთ,

არადა 13 ლარიანის ყიდვა გვინდოდა ....მერე ცოტა ხნით ჩემთან ავედით და იქაც ბევრი ვიცინეთ. მოკლედ ეს დღე არასდროს დამავიწყდება, საუკეთესო დღე იყო ჩემს ცხოვრებაში იმიტომ, რომ ეს დღე ჩემს საუკეთესო მეგობართან ერთად გავატარე

მარი ილურიძე

Self-Learning

Remove Watermark Now

10/03/2019

კვირა დღეს ძალიან სასაცილო ამბავი გადაგვხვდა თავს მე და ლიზ ის, ახალი მოსწავლეა, მაგრამ მე უკვე დავუმეგობრდი....ესე იგი.... მთელი კვირაა ერთ სპექტაკლზე წასვლას

ვგეგმავდით, რომ გაგვეცნო ჩვენი საყვარელი მსახიობი. ნუ, ჩვენი რა, უფრო ჩემი... უკვე ვიცო დით რა ჩაგვეცვა და ვინ წაგვიყვანდა.... საბოლოოდ ჩამოვყალიბდით იმაზე, რომ ლიზის მა მა წაგვიყვანდა სპექტაკლზე.... თეატრი აღმაშენებელზე იყო.... როდესაც აღმაშენებელზე მივ ედით, თეატრის ძებნა დავიწყეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. ერთ თეატრში შევედით და სხვაგან გ აგვიშვეს. იქ იმათ გვითხრეს აქ სპექტაკლი ქალებიაო და მოკლედ ამაზე მე და ლიზიმ ძალიან ბევრი ვიცინეთ .... მერე აღმოჩნადა, რომ დროც შეგვეშალა და თეატრიც ვერ ვიპოვეთ, სამაგი ეროდ როდესაც უკან ვბრუნდებოდით, მანქანაში ძალიან გავერთეთ... მოკლედ ეს დღე ძალი ან დასამახსოვრებელი და სასაცილო იყო,

26/03/2019

სამშაბათი ზუსტად არ მახსოვს რომელი დღე იყო, ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს დღიურებს არ ვწერდი... ესე იგი მე ჯიღომ და მითომ გადავწყვიტეთ ისთფოინთში წავსულიყავით და რ ოდესაც წავედით და მივედით, აი, უმაგრესი დრო გავატარეთ. ჯერ მაკდონალდსში შევედი თ, მერე ტანსაცმელები მოვიზომეთ, გამოვეედით და ძალიან ბევრი სურათი გადავიღეთ. ისე რომ ვთქვათ ეს დრე ისეთი არათვრით გამოირჩეოდა, მაგრამ სამივეს ძალიან კარგად გვახსოვ .ს ალბათ იმიტომ, რომ სამივე ერთად ვიყავით.

28/03/2019 ხუთშბათი 02:26 ..... არასდროს მიყვარდა ხუთშაბათი, განსაკუთრებით დღე ს ... ეს კვირა რაღაც საშინელება იყო ჩემი კლასელი გარდაიცვალა... ლუკა ..... სადღაც ერთი წე ლი იყო შეერთებული აპარატზე. მისმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გადაერჩინათ ..... რა ვქნათ ზოგჯერ ასეც ხდება, საუკეთესო მეგობარს მოულოდნელად კარგავ .... დღეს ბავ შვები პანაშვიდზე ვიყავით..... ძალიან საშინელება იყო. მთელი დღეა ცრემლებს ვერ ვიკავებ, ასე საშინლად არასდროს ვყოფილვარ ..... ვერ დავიძინე. სულ ლუკა მესიზმრებოდა, როგორ ახელდა თვალებს და ცოცხლდებოდა. ერთ მომენტში ისიც კი მეგონა, რომ კარებზე მომიკაკუ ნებდა.... ამიტომ გადავწყვიტე შენთვის მომეწერა, რადგან ვერ ვიძინებ... ზოგჯერ მგონია, რ ომ სიკვდილი არ არსებობს. ისინი მხოლოდ რამდენიმე სააათს იძინებენ და შემდეგ სხვა სამ ყაროში ან თუმდაც ისევ აქ თვიდან იღვიძებენ და იბადებიან... მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი მოს აზრებაა ისიც ათასშიერთხელ თუ ვფიქრობ ასე... მაგრამ ისინი სამუდამოს მაინც არ კვდებია ნ, იმიტომ რომ ჩვენს გულებში რჩებიან და ყოველთვის გვახსოვს ისინი... დღეს ლუკა ბოლო ჯერ ვნახე. ძალიან სხვანაირი და შეცვლილი იყოო ... ბავშვებმა მოვიფიქრეთ, რომ ის დაგვეწ ერა ფორმატზე, რასაც საბოლოოდ ვეტყოდით ლუკას ... ფორმატი უკვე თითქმის შეივსო... ზო გმა მასწავლებელმაც, დაწერა რამაც ძალიან გამახარა .... ეს დღე არასოდეს დამავიწყდება ი მიტომ, რომ ამ დღეს ბოლოჯერ ვნახეთ ჩვენი ლუკა.

მარიამ ილურიძე

Remove Watermark Now



14.03.2019 წელი
დილა მშვიდობისა, ჩემო დღიურო ^_^ რატომღაც მინდა, რომ ჩემი ორი დღის შესახებ მოგიყვე და იმედი მაქვს საინტერესო გამოვა. ჩემი ორი დღე არც ისეთი რთული დასაწერი იქნებოდა, რომ მინდოდეს ჩვეულებრივი დღის დაწერა, ჩვეულებრივი რუტინით, ემოციებით და ტყუილი განცდებით ასევე სავსე იმ ხალხით, რომლებიც რეალურად არ იმსახურებდნენ ან იმსახურებენ ჩემს ერთ ჩვეულებრივ დღეში არსებობას, ამიტომაც მინდა მოგითხრო იმ დღეზე, რომელსაც რეალურად ჰქონდა გავლენა ჩემს ვინაობაზე, შეხედულებებზე და პიროვნულ მისწრაფებებზე. დღეზე, როდესაც დავიწყე ჩემი თავის გაცნობა, როდესაც დავინტერესდი იმით, რაც რეალურად ყველაზე ახლოს მქონდა და არასდროს ვაქცევდი სათანადო ყურადღებას, ვამჩნევდი ხალხს, ხალხს, რომელსაც დღეს ვეღარ ვცნობ ან სულაც ვეღარ ვხედავ.ეს დღე იყო საწყისი ყოველივესი, რასაც სხვები ჩემი სახით იღებენ ყოველდღე, როგორც მცნობენ და როგორც აცნობენ უცხოებს ჩემს თავს. ამ დღეს დავიწყე უაზრო კულტების ნგრევა და შევეშვი საკუთარ თავთან ბრძოლას უბრალოდ მივეცი დროს განვლის საშუალება და დრომ ყველაფერი შეცვალა. ალბათ ვერასდროს შევძლებ ამ დღეს რაიმე კონკრეტული დავარქვა ან მოვაქციო ისეთ მცირე და დაულაგებელ სქემაში, რასაც კალენდარი ჰქვია. მეორე დღე კი ზუსტად ვიცი ვიზეც იქნება, კი სწორად მოგესმათ, ეს დღე ადამიანს ეკუთვინს, ადამიანს, რომელიც მომეხმარა პირველი დღის დამთავრებაში და მეორის დაწყებაში. ადამიანს, რომელიც პიროვნულად იმდენად სავსეა, რომ უბრალოდ შეუძლებელია მასთან მოწყენა ან მასთან რაიმეს დამალვა, ის ჩემი მესაიდუმლე გახლავთ. ადამიანი, რომელსაც 1 წელია ვიცნობ იმდენად მდიდარია, არა მატერიალურად, არამედ სულიერად რომ აჯობა ყველა "მეგობარს", რომლებიც ხშირად უხეშად სარგებლობენ ამ ფსევდო ტიტულით. მასთან გატარებული ყოველი დღე საგანძურია, რომელსაც "ვტენი" ჩემს სეიფში, რომლის კარებსაც ვეღარავინ წვდება მას შემდეგ, რაც გავაანალიზე,რომ საჭიროა სწორი ხალხის არჩევა, არ იფიქრო, რომ დავიწყე ხალხის გადარჩევა რაიმე ნიშნით, უბრალოდ მივეცი საშუალება დავევიწყებინე და მოხდა ის, რაც ვიცოდი, რომ მოსალოდნელი იყო, დავავიწყდი ყველა მათგანს, გარდა ერთის, ვიზეც ვსაუბრობდი. როგორც აღვნიშნე მასთან გატარებული ყოველი დღე საგანძურია, ამიტიმ რთულია რომელიმეს გამოყოფა, უსამართლობაც კი იქნება სხვა დღეების მიმართ, რადგან ყოველი ახალი დღე მასთან სავსეა ახალ-ახალი ემოციებით და განცდებით. და მაინც თუ დამჭირდება ,რომელიმეს გამოყოფა ალბათ გამოვყოფ დღეს, როდესაც პირველად შევნიშნე, პირველად ვიგრძენი და პირველად გამიბრწყინდა თვალები, იმ დღეს როდესაც დაიწყო თავგადასავალი, რომელზეც შეიქმნება ისტორიები. ამაზე მოგვიანებით გავაგრძელებ, სკოლაში მაგვიანდება, დროებით მეგობარო.

მარიამ გრიგორიანი

Pdfelement

Remove Watermark Now

გუშინ ჩავედი ბოლნისიდან ად
იგენში, კერძოდ ლელოვანში დ
ა პირველივე დღეს მეძახდნენ
მეგობრები გარეთ გასასვლელა
დ, გავედი გარეთ, გავედით მო
ედანზე. თამაშის შემდეგ ყველ
ანი მშიერი ვიყავით, დაღლილ
ები, სახლი შორი იყო, გვეზარებ
ოდა ასვლა, ცოტა ხანი შევისვე
ნეთ და გზას შევუდექით, შეიძ
ლება გაგეცინოს, მაგრამ ვაი იმ
წამოსვლას, ჩვენი მეგობრის ხმ
აურმა განაპირობა ძაღლის გაღ
იზიანება და მისი მავთულები
დან გადმოხტომა და გაგეცინე
ბა, თუ როგორი სახე მივიღე ან
მივიღეთ იმ დროს ყველამ. გამ
ოგვეკიდა ძაღლი, მივრბივართ
ისე, რომ თითქმის ერთმანეთს
ვახტებოდით. ავედი სახლში, გ
ავიარე ორღობე. სახლშიც შევე
დი და ვნახე, რომ შეშა არ ეყარ
ა ბუხართან, მაგრამ მორები ეზ
ოში გვეყარა ტონა... მეც აღარ დ
ავფიქრდი და ვტაცე ხელი ცულ
ს და შევუდექი შეშის ჩეხვას, შე
ვიტანე სახლში, შევუნთე... აგუ
გუნდა ბუხარიც და სახლიც და
თბა. ეს იყო და ეს... მაშასადამე
, მე ეს საგაზაფხულო არდადეგ
ები გავატარე ძალიან კარგად.

pdfelement

გიორგი ტაბატაძე

Remove Watermark Now

ახლა საგაზათხულო არდადე
გებია, ვარ ბოლნისში ვზივარ
ეზოში და მინდა მოგიყვე ერთ
-ერთ უძველეს შესანიშნავ ტა
ძარზე, ბოლნისის სიონზე, რო
მელიც გუშინ მოვინახულე და
მთელი დღე იქ გავატარე. ბო
ლნისის სიონი V საუკუნეში აგ
ებული სამნავიანი ბაზილიკუ
რი ნაგებობაა, ტაძრის აგებუ
ლება მკაცრი მონუმენტურობი
თ გვხიბლავს,ბოლნისის სიონ
მა უძველესი ასომთავრული წ
არწერა შემოგვინახა. ტაძარს
გარშემო ფართო
მასიური გალავანი აქვს შემ
ორტყმული, გალავნის შიგნ
ით გარდა ეკლესიისა სამსა
რთულიანი სამრეკლოა აღმ
ართული. ბოლნისის სიონი
ჩემთვის განსაკუთრებული
მნიშვნელობისაა სწორედ ა
სეთი იყო ეს დღე. აბა, ნახვ
ამდის შემდეგ შეხვედრამ
დე.

pdfelement

გიორგი ტაბატაძე

Remove Watermark Now

25/03/2019 გამარჯობა
დღიურო ! მინდა გითხ
რა, რომ ძალიან მომწო
ნს დღიურების წერა დ
ა ჩემი ემოციების შენთ
ვის გაზიარება, ასე მგო
ნია მეგობარს ველაპარ
აკები. დღეს ჩემმა კლა
სელებმა იჩხუბეს. დი
დი იმედი მაქვს, რომ ა
ღარ იჩხუბებენ. დღეის
ათვის სულ ეს იყო. წავ
ედი,ნახვამდის!

pdfelement

ომარ მსტოევი

20 ნოემბერი, სამშაბათი,2018 წ ელი. 12.31. წთ.

მე ერთი ჩვეულებრივი მასწავ ლებელი ვარ, სკოლაში ვმუშაო ბ და ყოველ დღე ოთხ გაკვეთი ლს ვატარებ. დღეს სამი უკვე ჩა ვატარე, ახლა მე-8ა კლასში ვზი ვარ და დღიურს ვწერ.

არა, მარტო არ ვარ, ბავშვებიც აქ არიან და ისინიც თავჩარგუ ლნი, სერიოზული სახეებით, ჩა ნაწერებს აკეთებენ საგანგებო დ შერჩეულ ახალთახალ წიგნა კებში. რატომ?

პასუხი მარტივია. გადავწყვიტ ეთ 45 წუთიდან 5 წუთით დავი ვიწყოთ გაკვეთილი და მოვძებ ნოთ ,,მე“ საკუთარ თავში.

რატომ?

იმიტომ, რომ ფიქრი ვისწავლო თ, უფრო შეგნებულები გავხდე თ და მივხვდეთ, რომ: ,,ყველა ზედ ძნელი ადამიანისთვის თა ვისის-თავის ცნობა, თავისის-თ ავის ცოდნა არის“ (ილია ჭავჭავ აძე)

რატომ დღიური?

იმიტომ, რომ ,,ხანდახან მხოლ ოდ ფურცელი გვისმენს...“

pdfelement

სიმღერა

ხანდახან კლასში მეუბნებიან
რომ არ ვიმღერო ,მაგრამ რა ვ
ქნა,სიმღერის გარეშე ცხოვრე
ბა არ შემიძლია.

5 წლის, რომ ვიყავი დედა
მ პიონერთა სასახლეში სიმღ
ერაზე
მიმიყვანა. თავიდან არ მომწ
ონდა მაგრამ მერე მომეწონა.
იქ 4 წელი ვიარე და შემდეგ ა
ნსამბლ "ერისიონის" მომღერ
ლის თამაზ ბლუაშვილის გუ
ნდში გადავედი სახელად "უ
ნივერსალი".
აქ იყო ძალიან ბევრი ბიჭი და
ცოტა გოგო.
მასწავლებელიც და ბავშვები
ც ძალიან მომეწონა.

Remove Watermark Now
pdfelement

თავიდან ვუსმენდი, სანამ, ვისწავლიდი იმ სიმღერებს რ
ომელსაც ეს ბავშვები მღეროდნენ. ძალიან ლამაზი იყო სა
მ ხმაში შესრულებული ქართული ხალხური სიმღერა.

იმ წელს გასტროლზე წავედით ბულგარეთში ქალაქ ნე
სებარში
საიდანაც "გრამპრი" ჩამოვიტანეთ.

შემდეგ წავედით საინგილოში. იქაც ავიღეთ მედლები
და ისე ჩამოვედით.

შემდეგ ბაკურიანში ვიყავით. იქაც კარგად წავრსდექით
სცენაზე .

ხოლო წინა წელს გვქონდა სოლო კონცერტი, ჩვენს ანსა
მბლს გადაერქვა სახელი. და ახლა ჩვენს ანსამბლს "ჩაკრუ
ლო" ჰქვია.

აი ამ ზათვხულს დაუვიწყარი ათი დღე გველის.30 მაისს
ან 1 ივნისს მივდივართ ამერიკაში. კერძოდ ნიუ იორკში და
ვაშინგტონში.

Remove Watermark Now

VIIIა კლასი

დღიურის შექმნაში მონაწილეობა მიიღეს:

ნათია არუკვანიძე
დარი არუკვანიძე
ნინი მჭედლიძე
გულიკო ჯილაური
ელენე მჭედლიშვილი
ალექსანდრე ანანიაშვილი
ომარ მსტოევი
ნიკოლოზ მუნიაშვილი
გიორგი ჯანყარაშვილი
მარიამ ილურიძე
მარიამ ბაქანიძე
ლიზი შავარდენიძე
გიორგი ძნელაშვილი
მარიამ გრიგოლორიანი
გიორგი ძნელაშვილი
ნიკოლოზ მთავრიშვილი
ანი მაისურაძე
რეზი არზიანი
მარიამ მითაგვარია
ლუკა გიორგაძე
გუგა ფირიოშვილი
ლიზი ფოცხვერაშვილი
გიორგი ტაბატაძე
ლაშა წულუკიძე